ააიპ "საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი"

***2012** წლის **31** დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო*
პერიოდის ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორული დასკვნა

შინაარსი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება:	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	4
საქმიანობის შედეგების ანგარიში	5
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	6
ფონდებში ცვლილების უწყისი	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები	8

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

„საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება

ჩვენ ჩავატარეთ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის" თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ საქმიანობის შედეგების ანგარიშს, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძრვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პარლამენტთან არსებული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ გამოცემულ არასამეწარმეო იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებით სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე, ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას, დანერგვას, შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს, აუდიტი დაიგეგმოს და ჩატარდეს იმგვარად, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის" ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებს 2012 წლის 31 დეკემბრისათვის და შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

აუდიტორულ-საკონსულტაციო ჯგუფი ACG
17 ოქტომბერი 2013 წელი

აქტივები	ახსნა-განმარტება	**31/12/2012**	**31/12/2011**
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	1	476,635	461,597
მოთხოვნები მომსახურების მიწოდებიდან		172,514	46,025
გადახდილი ავანსები	2	7,509	6,631
მოკლევადიანი მოთხოვნები პერსონალთან		104	79
საგადასახადო მოთხოვნები ბიუჯეტთან	3	1,789	22,420
მატერიალური მარაგები		491	1,402
სულ მოკლევადიანი აქტივები		**659,042**	**538,154**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2,430,603	2,285,098
არამატერიალური აქტივები		33,849	28,662
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,464,452**	**2,313,760**
სულ აქტივები		**3,123,493**	**2,851,914**
ფონდები და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები დონორების წინაშე	5	159,245	389,317
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	17,352	19,610
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**176,597**	**408,927**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	655,616	524,858
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**655,616**	**524,858**
ფონდები			
ფონდები		1,918,129	2,171,073
ცვლილება ფონდებში		373,152	(252,945)
სულ ფონდები		2,291,280	1,918,129
სულ ფონდები და კაპიტალი		**3,123,493**	**2,851,914**

მაკა იოსელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

ვასილ ქავთარაძე
მთავარი ბუღალტერი

თანდართული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ააიპ "საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი"
2012 w l is saqmianobis Sedegebis angariSi (larebSi)

	ახსნა-განმარტება	**2012**	**2011**
საგრანტო შემოსავალი	*8*	1,772,215	1,591,189
შემოსავალი საგანმანათლებლო საქმიანობიდან	*9*	2,132,139	1,557,835
სხვა საოპერაციო შემოსავალი		13,251	66,593
სულ შემოსავალი		**3,917,605**	**3,215,617**
საგრანტო ხარჯები	*10*	(1,772,215)	(1,591,189)
სხვა საოპერაციო ხარჯები	*11*	(1,503,528)	(1,292,257)
ადმინისტრაციული ხარჯები	*12*	(429,307)	(468,259)
კომერციული ხაჯები		(7,647)	(15,425)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	*13*	3,422	9,646
სხვა ხარჯები	*14*	(55,971)	(62,712)
მოგება დაბეგვრამდე		**152,360**	**(204,580)**
მოგების გადასახადი		(23,634)	(2,679)
წმინდა მოგება/ზარალი		**128,726**	**(207,259)**

მაკა იოსელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

ვასილ ქავთარაძე
მთავარი ბუღალტერი

თანდართული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	2012	2011
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება დაბეგვრამდე და გახსაკუთრებულ მუხლამდე	**152,360**	**(204,580)**
შესწორებები შემდეგი მუხლებისათვის:		
ცვეთა	170,496	159,480
ცვლილებები ფონდებში	244,426	(45,685)
საპროცენტო ხარჯები	55,971	37,404
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	**623,253**	**(53,382)**
გადახდილი ავანსების ცვლილება	(878)	152,333
მყიდველებთან მოთხოვნების ცვლილება	(126,489)	(104,516)
საგადასახადო მოთხოვნების ცვლილება	20,631	(592)
სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ცვლილება	911	(285)
დონორებთან ვალდებულებების ცვლილება	(230,072)	93,271
მიმდინარე ვალდებულებების ცვლილება	(2,283)	5,413
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	**(338,180)**	**145,624**
გადახდილი პროცენტები	(55,971)	(37,404)
მოგების გადასახადი	(23,634)	(2,679)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**205,468**	**52,159**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(316,001)	(888,640)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(5,187)	(4,053)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(321,188)**	**(892,693)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი სესხების ზრდა	130,757	524,858
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**130,757**	**524,858**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**15,038**	**(315,676)**
ფულადი სახსრები საანგარიშ-გებო პერიოდის დასაწყისისათვის	**461,597**	**777,273**
ფულადი სახსრები საანგარიშ-გებო პერიოდის ბოლოსათვის	**476,635**	**461,598**

მაკა იოსელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

ვასილ ქავთარაძე
მთავარი ბუღალტერი

თანდართული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	ფონდები	სულ ფონდები
ნაშთი 2012 წლის დასაწყისში	**1,918,129**	**1,918,129**
		-
შეზღუდული ფონდების ცვლილება	244,426	**244,426**
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	128,726	**128,726**
		-
სულ ფონდების ცვლილება	**373,152**	**373,152**
		-
ნაშთი 2012 წლის ბოლოს	**2,291,280**	**2,291,280**

მაკა იოსელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

ვასილ ქავთარაძე
მთავარი ბუღალტერი

თანდართული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ფინანსური უწყისები მომზადებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ გამოცემულ არასამეწარმეო იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებით სტანდარტებს შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა ბასს-ის ძირითად დაშვებებსა და პრინციპებს.
ორგანიზაციის საანგარიშგებო წელია კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაცია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.
დართული ფინანსური ანგარიშები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის ძირითად საანგარიშგებო ვალუტას.
ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხდება პირველადი დოკუმენტებიდან გამომდინარე განხორციელებული ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე.
ორგანიზაცია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა "ორისის" მეშვეობით.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ორგანიზაციის სალაროში და საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშებზე რიცხულ თანხებს.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშდება ლარში, ოპერაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. ფინანსურ ანგარიშგებაში უცხოური ვალუტა, სავალუტო მოთხოვნები და ვალდებულებები მოცემულია საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. ქვემოთ მოყვანილია ლარის კურსი ძირითადი უცხოური ვალუტების მიმართ 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 აშშ დოლარი	*1.6567 ლარი*
1 ევრო	*2.1825 ლარი*

მოთხოვნები და ვალდებულებები

ორგანიზაცია მოთხოვნებსა და ვალდებულებებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახავს ისტორიული ღირებულებით. ორგანიზაციას არ აქვს შემუშავებული საეჭვო მოთხოვნების შეფასება-აღრიცხვის რაიმე სისტემა და არ ქმნის საეჭვო მოთხოვნებისთვის რეზერვს.

მატერიალური მარაგები

ორგანიზაცია მატერიალურ მარაგებში აღრიცხავს ისეთ მატერიალურ აქტივებს, რომელებიც განკუთვნილია ორგანიზაციის საქმიანობის პროცესში მოხმარებისათვის, გასაყიდად ან სხვა მიზნებისათვის და მათი გამოყენება არ ხდება 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.
მატერიალური მარაგების თავდაპირველი ასახვა საბუღალტრო აღრიცხვაში ხდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მათი შეძენის, ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ძირითადი საშუალებები

<u>წარდგენის პრინციპები</u>

ძირითად საშუალებად მიიჩნევა აქტივი, რომლის სასარგებლო გამოყენების (ექსპლუატაციის) ვადა აღემატება ერთ წელს. საწყისი ისტორიული ღირებულება მოიცავს შესყიდვის საფასურს, ამოუღებელ გადახდილ გადასახადებს და იმ ხარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში გაშვებასთან.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნარჩენი ღირებულებით, ისტორიული ღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთა.

<u>ამორტიზაცია</u>

ამორტიზაცია ერიცხება ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებას. ამორტიზაციის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით.

ორგანიზაციის მიერ გამოყენებული ცვეთის წლიური ნორმები თითოეულ ჯგუფში შემავალი ძირითადი საშუალებების მიმართ:

შენობები – 2%
მსუბუქი ავტომობილები – 14%
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი – 20%
კავშირგაბმულობის მოწყობილობები - 33%

გადასახადები

ორგანიზაცია ვალდებულია შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქცია პერსონალის, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული ფიზიკური პირებისა და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული არარეზიდენტი პირების მიმართ, დაუკავოს მათ საშემოსავლო გადასახადი და გადაიხადოს ბიუჯეტში. აგრეთვე, ვალდებულია განახორციელოს დღგ-ის უკუდაბეგვრა საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

ორგანიზაცია ვალდებულია გადაიხადოს მოგების გადასახადი მომსახურებისა და აქტივების რეალიზაციით მიღებული მოგებიდან 15% განაკვეთით. ასევე, ორგანიზაცია ვალდებულია ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე გადაიხადოს ქონების გადასახადი მისი საშუალო ნარჩენი საბალანსო ღირებულების 1%-დან - 3%-მდე ოდენობით.

შემოსავლები და ხარჯები

ორგანიზაციის შემოსავალი ძირითადად ყალიბდება დონორებისგან მიღებული გრანტებით და საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები წარმოდგენილია ეკონომიკური ელემენტების ან დანიშნულების მიხედვით.

ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები აისახება დარიცხვის მეთოდით.

ზოგადი ინფორმაცია

"საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი" წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც დაკავებულია ეფექტური მმართველობის, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობით საქართველოში. იგი დაარსდა და ფუნქციონირებს 1994 წლიდან. დაარსებისთანავე ინსტიტუტმა თავი მოუყარა ბიზნესის, მედიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საჯარო სამსახურის წარმომადგენლებს. ინტერაქტიული საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევებისა და ტრენინგების მეშვეობით ინსტიტუტმა თავისი წვლილი შეიტანა როგორც ეფექტური მმართველობის განვითარებაში სახელმწიფო, მუნიციპალურ და ადგილობრივ დონეზე საქართველოში, ასევე დამოუკიდებელი და სიცოცხლისუნარიანი მედიის ჩამოყალიბებაში.

არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი წარმოადგენს სახელმწიფო მართვისა და ჟურნალისტიკის სფეროების განვითარების ეროვნულ ცენტრს. მისი საგანმანათლებლო და სატრენინგო პროგრამები პასუხობს საჯარო მოსამსახურეების, ჟურნალისტებისა და მედია მენეჯერების მოთხოვნებს.

ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

ინსტიტუტში ფუნქციონირებს ბაკალავრიატი, დოქტორატურა და სამი სამაგისტრო სკოლა:

- სახელმწიფო მმართველობის სკოლა
- ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა
- სამართლისა და პოლიტიკის სკოლა

აგრეთვე, ინსტიტუტში ფუნქციონირებს "სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა", რომელიც ახორციელებს უცხოური და ადგილობრივი დონორებისა და მთავრობების მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროგრამებს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით.

ინსტიტუტის განვითარების კონცეპტუალურ გეგმას და მის პოლიტიკას განსაზღვრავს მისი უმაღლესი მმართველი ორგანო – გამგეობა, რომელიც შედგება ქართველი და ამერიკელი საჯარო, სამთავრობო და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისაგან.
ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორია ინსტიტუტის რექტორი, რომელსაც ნიშნავს გამგეობა.

ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ბროსეს ქ. #2.

1. ფულადი სახსრები

2012 წლის 31 დეკემბრისათვის ორგანიზაციას ფულადი სახსრები განთავსებულია "თი ბი სი ბანკში" და მოიცავს:

	31/12/2012	31/12/2011
ეროვნული ვალუტა ბანკში - GEL	336,445	201,179
უცხოური ვალუტა ბანკში - USD	108,862	253,240
უცხოური ვალუტა ბანკში - EUR	31,328	7,173
უცხოური ვალუტა ბანკში - GBP	-	5
სულ	**476,635**	**461,597**

2. გადახდილი ავანსები

2012 წლის 31 დეკემბრისათვის ორგანიზაციის მიერ გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავს:

	31/12/2012	31/12/2011
შპს ''ფორჩუნ სტუდიო''	-	5,187
სხვა ავანსები	7,509	1,504
სულ:	**7,509**	**6,691**

3. საგადასახადო მოთხოვნები ბიუჯეტთან

2012 წლის 31 დეკემბრისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულებები და მოთხოვნები მოიცავს:

	31/12/2012	31/12/2011
მოგების გადასახადი	(8,779)	14,855
საშემოსავლო გადასახადი	(3,392)	(13,158)
დღგ	44,200	37,020
ქონების გადასახადი	(30,240)	(16,297)
სულ	**1,789**	**22,420**

4. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს 2012 წლის განმავლობაში ორგანიზაციის ძირითად საშუალებებში მომხდარ ცვლილებებსა და მათ სტრუქტურულ მდგომარეობას 31 დეკემბერისათვის:

	ნაგებობები	შენობები	სატრანსპორტო საშუალებები	კომპ ტექნიკა, ციფრული და პერიფერიული მოწყობილობა	კავშირგაბ მულობის მოწყობილობები	ავეჯი და ინვენტარი	მანქანა-დანადგარები	სხვა არამატერიალური აქტივები	სხვა ძირითადი საშუალებები	**სულ**
ისტორიული ღირებულება										
ნაშთი 31.12.11	39,763	1,901,582	212,919	619,877	58,868	203,366	44,394	28,662	60,541	**3,169,972**
შემოსვლა	-	242,959	-	59,466	2,005	12,140	-	5,187	-	**321,757**
გასვლა				(569)						**(569)**
ნაშთი	**39,763**	**2,144,541**	**212,919**	**678,774**	**60,873**	**215,507**	**44,394**	**33,849**	**60,541**	**3,491,160**
ამორტიზაცია										
ნაშთი 31.12.11	1,458	109,507	88,551	440,880	51,709	121,336	24,397	-	18,374	**856,213**
პერიოდის ცვეთა	795.26	38,436.57	27,471.92	63,672.96	3,603.16	24,725.30	3,735.97	-	8,083.61	**170,525**
გასული ძირ. საშ-ის ცვეთა	-	-	-	(28)	-	-	-	-	-	**(28)**
ნაშთი	**2,253**	**147,944**	**116,023**	**504,525**	**55,312**	**146,061**	**28,133**	**-**	**26,458**	**1,026,709**
ნარჩენი ღირებულება 31.12.11	**38,305**	**1,792,075**	**124,368**	**178,997**	**7,159**	**82,030**	**19,997**	**28,662**	**42,167**	**2,313,760**
ნარჩენი ღირებულება 31.12.12	**37,510**	**1,996,597**	**96,896**	**174,249**	**5,561**	**69,445**	**16,261**	**33,849**	**34,083**	**2,464,452**

5. ვალდებულებები დონორების წინაშე

2012 წლის 31 დეკემბრისათვის ორგანიზაციის ვალდებულებები და მოთხოვნები დონორების წინაშე მოიცავს:

	31/12/12	31/12/11
UNICEF-TBILISI	-	4,182
ააიპ ფონდი 'შტრიხტინგ გადავარჩინოთ ბავშვები ჰოლანდია'-ს საქართველოს	283	(921)
CNFA - საქართველო	-	19,212
INC DEVELOPMENT ALTERNATIVES	-	26,765
USAID	-	368
AMERICAN EMBASSY	76,246	115,440
BBC(RADIO.GR)(LONDON)	-	399
DNAK(NORW.ATLANTIC COMMITTEE)	-	1,083
OSI	56,454	104,894
STAT.DAP	-	(53,542)
USDA	97,754	72,708
UNDP	5,547	2,471
ისტ-უესტ მენეჯმენტ ინსტიტუტ, ინკ.-ის წარმომადგენლობა საქართველოში	-	102
Europien Journalism Center	(23,500)	(17,306)
IREX	(127,358)	89,398
WESTMINSTER FOUNDATION FOR DEMOCRACY (2 contracts)	-	22,487
Canal France International (CFI)	-	301
NACRES	-	(12)
BP	-	1,289
TEMPUS (EC)	30,999	-
ააიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	44,580	-
University of Pennsylvania's (CGCS)	(1,760)	-
სულ:	**159,245**	**389,317**

6. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

2012 წლის 31 დეკემბრისათვის ორგანიზაციის სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

	31/12/2012	31/12/2011
ვალდებულებები მომწოდებლებთან	17,352	19,085
გადასახდელი პროცენტები	-	525
სულ:	**17,352**	**19,610**

7. ბანკის კრედიტები

გრძელვადიანი კრედიტები მოიცავს ბანკისგან მიღებულ სამ იპოთეკურ კრედიტს 50 000 ლარისა, 300 000 აშშ დოლარის და 140 000 აშშ დოლარის ოდენობით.
საბანკო კრედიტი 50 000 ლარი მიღებულია 2011 წლის სექტემბერში 2 წლის ვადით, 14% წლიური საპროცენტო განაკვეთით.
საბანკო კრედიტი 300 000 აშშ დოლარის ოდენობით მიღებულია 2011 წლის ივნისის თვეში 13,5% წლიური საპროცენტო განაკვეთით. კრედიტის ვადა შეადგენს 6 წელს.
2012 წლის სექტემბერში ბანკისგან მიღებულია იპოთეკური კრედიტი 140 000 აშშ დოლარის ოდენობით. 13,5% წლიური საპროცენტო განაკვეთით. კრედიტის ვადა შეადგენს 3 წელს.

8. საგრანტო შემოსავალი

2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის საგრანტო შემოსავალი:

	2012	**2011**
ÀÀÉÐ×Ï Í Ã É 'ÛÔÒÉáÔÉÍ Â ÂÀÃ ÀÅÀÒÜÉÍ Ï È ÁÀÅÛÅÄÁÉ äÏ Ë ÀÍ Ã ÉÀ'-Ó ÓÀØÀÒÈ ÅÄË Ï Ó× ÉË ÉÀË É	1,667	4,500
CNFA - ÓÀØÀÒÈ ÅÄË Ï	23,315	58,598
AMERICAN EMBASSY	129,856	140,651
OSI	57,866	325,404
STAT.DAP	29,522	259,131
USDA	731,280	591,795
UNDP	11,099	13,129
ÉÓÔ-ÖÄÓÔ Ì ÄÍ Äã Ì ÄÍ Ô ÉÍ ÓÔÉÔÖÔ, ÉÍ Ê.-ÉÓ ßÀÒÌ Ï Ì ÀÃ ÂÄÍ Ë Ï ÁÀ ÓÀØÀÒÈ ÅÄË Ï ÛÉ	102	12,290
Europien Journalism Center	171,230	124,978
IREX	472,767	45,288
WESTMINSTER FOUNDATION FOR DEMOCRACY (2 contracts)	23,099	2,071
Canal France International (CFI)	-	6,173
NACRES	-	3,805
TEMPUS (EC)	31,423	-
Chapman University	30,709	-
CENTRE OF COMPARATIVE COMMUNICATION STANHOPE CENTRE MEDIA	26,017	-
American University	18,344	-
ÀÀÉÐ ÉË ÉÀÓ ÓÀáÄË Ì ßÉ× Ï ÖÍ ÉÅÄÒÓÉÔÄÔÉ	5,771	-
EDUCATION AND TRAINING INTERNATIONA L LTD	4,998	-
UNICEF-TBILISI	3,150	-
BP	-	3,375
სულ:	**1,772,215**	**1,591,188**

9. შემოსავალი საგანმანათლებლო საქმიანობიდან

2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის შემოსავლები საგანმანათლებლო საქმიანობიდან:

	2012	**2011**
მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის საფასური	1,775,933	1,261,154
წიგნების ღირებულება	-	4,904
სააპლიკაციო გადასახადი	-	4,693
დიპლომები და მანტიები	6,103	3,785
გამოცდის და გადაბარების საფასური	3,093	1,286
სასერტიფიკაციო კურსები	347,009	282,013
სულ:	**2,132,139**	**1,557,835**

10. საგრანტო ხარჯები

2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის საგრანტო ხარჯები:

	2012	**2011**
STAT.DAP: S-GE800-10-GR-113	-	30,986
Europien Journalism Center: GP1103/Georgia	13,632	118,638
USAID: AID-114-A-09-0001	-	140,651
USDA: 58-3148-8-052	-	3,396
USDA: 58-3148-0-106	-	1,680
OSI: OSI 01	16,977	171,348
CNFA - ÓÀØÀÒÈ ÅÄË Ï : CNFA 03	23,315	58,598
USDA: 52-3148-0-101	100,270	118,339
USDA: 58-3148-0-133 VAD	262,229	430,815
OSI: CS/22/10-17248	-	32,330
OSI: 40017475	-	36,407
UNDP: # 00074640	-	6,240
STAT.DAP: S-GE800-10-GR-039	-	826
STAT.DAP: S GE800 11GR113	14,856	142,267
OSI: MM/16/11/ - 18011	-	13,432
NACRES: NACRES 2011	-	3,805
BP: B-11-BPCS-254805	-	3,375
OSI: CS/20/11-17929	2,033	14,444
OSI: 40020116	2,200	50,281
Canal France International (CFI): Canal France International (CFI) ÉÓÔ-ÖÄÓÔ Ì ÄÍ Äã Ì ÄÍ Ô ÉÍ ÓÔÉÔÖÔ, ÉÍ Ê.-ÉÓßÀÒÌ Ï Ì ÀÃ ÂÄÍ Ë Ï ÁÀ ÓÀØÀÒÈ ÅÄË Ï ÛÉ:	-	6,173
EAST-WAST MANAGEMENT INSTITUTE (GRANT # 630)	102	12,290
STAT.DAP: S-GE800-11-GR-114	10,894	5,220
USDA: 58-3148-1-223	81,118	7,378

10. საგრანტო ხარჯი (გაგრძელება)

2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის საგრანტო ხარჯები:

58-3148-1-259	27,404	-
USDA: 58-3148-1-268	43,490	30,188
ÀÀÉÐ×Ï Í Ã É 'ÛÔÒÉáÔÉÍ Â ÂÀÃ ÀÅÀÒÜÉÍ Ï È ÁÀÅÛÅÄÁÉ äÏ Ë ÀÍ Ã ÉÀ'-ÓÓÀØÀÒÈ ÅÄË Ï Ó× ÉË ÉÀË É: D 0084122	-	4,500
STAT.DAP: S-AM100-11-GR-290	1,897	39,921
STAT.DAP: SAJ200-10-GR-072	1,875	39,910
OSI: GPR # 50005 Grant ID - 18117	21,952	7,162
UNDP: 00074640 - 1	4,646	6,890
WESTMINSTER FOUNDATION FOR DEMOCRACY (2 contracts):		
WESTMINSTER FOUNDATION FOR DEMOCRACY	16,322	2,071
European Journalism Center: ESJ Lille, France.	-	3,976
SAJ200-11-GR-074	62,858	-
SAJ200-11-GR-065	66,998	-
'UNICEF-TBILISI'	3,150	-
Save the Children	1,667	-
IREX: AID-114-10-00007	367,905	45,288
European Journalism Center: GP1103/GEO2	155,465	2,363
GP1103/Georgia(3)	2,133	-
58-3148-8-052(1)	80,002	-
TEMPUS	31,423	-
School of IS	18,343	-
CGCS-GIPA/01	26,017	-
Chapman	30,709	-
UNDP. # 00081916	6,453	-
WESTMINSTER FOUNDATION FOR DEMOCRACY (1)	2,206	-
EDUCATION AND TRAINING INTERNATIONA L LTD	4,998	-
GPR # 53077 Grant ID - 18784	8,364	-
WESTMINSTER FOUNDATION FOR DEMOCRACY (2)	4,572	-
58-3148-0-133 VAD (4)	136,766	-
AID-114-10-00007(IREX 2)	104,862	-
OSI.JS.Frontline Café (3)	6,340	-
530345-TEMPUS-1-2012-1-GE-TEMPUS-JPHES	5,771	-
სულ:	**1,772,215**	**1,591,188**

11. სხვა საოპერაციო ხარჯები

2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2012	**2011**
ხელფასი	1,062,956	979,387
ცვეთა და ამორტიზაცია	63,343	59,425
რემონტი	11,250	43,351
დაზღვევა	25,287	30,273
ბეჭდვა და პოლიგრაფიული მომსახურება	44,344	24,123
კომუნალური ხარჯი	33,987	20,988
კომუნიკაციის ხარჯი	32,304	20,776
სხვადასხვა მომსახურება	32,287	14,381
მივლინება	41,969	13,818
სატრანზიტო ანგარიში კონვერტაციისთვის	15,980	12,148
სხვა საოპერაციო ხარჯები	45,936	10,327
სპონსორობა და დაჯილდოვება	5,157	9,915
სხვადასხვა მცირეფასიანი მატერიალური ფასეულობები	10,319	9,891
საგადასახადო ხარჯი	9	9,639
საკანცელარიო ხარჯი	5,842	7,547
ჰონორარი	619	4,688
საწმენდი, სანიტარული და სხვა ოფისის ხარჯები	6,903	4,240
საწვავი	15,646	4,005
სტიპენდიები	740	3,441
ბანკის საკომისიო	360	3,157
საკონსულტაციო იურიდიული და აუდიტორული მომსახურება	18,073	3,100
წარმომადგენლობითი ხარჯი	3,005	2,143
დაცვის ხარჯი	3,240	1,494
იჯარა	3,973	-
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ხარჯი	20,000	-
სულ:	**1,503,528**	**1,292,257**

12. ადმინისტრაციული ხარჯები

2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ადმინისტრაციული ხარჯები:

	2012	**2011**
შრომის ანაზღაურება	366,659	350,691
რემონტი	3,127	57,352
ცვეთა და ამორტიზაცია	22,176	22,090
საკონსულტაციო ხარჯები	5,600	12,284
საწვავი	-	6,757
კომუნიკაციის ხარჯები	4,334	6,698
სხვადასხვა სახის მომსახურება	1,103	3,657
კომუნალური ხარჯები	6,018	2,582
დაცვის მომსახურება	1,566	1,586
საწმენდი, სანიტარული და სხვა ოფისის ხარჯები	730	1,152
ქველმოქმედება და დახმარება	-	770
საკანცელარიო ხარჯი	420	659
სხვა საგადასახადო ხარჯი	13,943	-
სხვა ხარჯები	3,631	1,981
სულ:	**429,307**	**468,259**

13. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის სხვა არა საოპერაციო შემოსავლები:

	2012	**2011**
საპროცენტო შემოსავალი	-	9,646
უიმედო მოთხოვნები	92	-
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	3,330	-
სულ:	**3,422**	**9,646**

14. სხვა ხარჯები

2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის სხვა ხარჯები:

	2012	**2011**
საპროცენტო ხარჯი	55,971	38,394
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	-	23,313
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	1,005
სულ:	**55,971**	**62,712**

15. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოურ ვალუტაში გამოსახული აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების ცვალებადობის რისკი, გამოწვეული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებებით. ორგანიზაციის ფინანსური პოზიცია და ფულადი ნაკადები ექვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის ზემოქმედებას, რადგან ორგანიზაციის ვალდებულებებისა და ფულადი სახსრების დიდი ნაწილი წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში.

ორგანიზაციის მენეჯმენტი ცდილობს აკონტროლოს სავალუტო რისკი და უზრუნველყოს საკურსო ცვლილებით გამოწვეული დანაკარგების მინიმიზაცია.

16. პირობითი გარემოებები

გადასახადები - უკანასკნელ პერიოდში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად საპროცენტო შემოსავალზე შემცირდა გადასახადი 7,5%-დან 5%-მდე.

გრანტით დაფინასებული ხელფასები, რომელიც იბეგრებოდა 12% განაკვეთით, საგადასახადო დაბეგვრის კუთხით გაუთანაბრდა სხვა ხელფასებს და იბეგრება 20% განაკვეთით. გაიზარდა არარეზიდენთა შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვის განაკვეთები:

კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო გადაზიდვებისთვის გადახდილი თანხების შემთხვევაში - 4%-იდან 10%-მდე;

ბიზნეს გარემო - უკანასკნელ წლებში საქართვლომ განიცადა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონიმიკური ცვლილებანი. როგორც ეს განვითარებადი ბაზარს ახასიათებს, საქართველოს არ აქვს კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც როგორც წესი არსებობს ბევრ მაღალგანვითარებულ ბიზნეს ბაზარზე. კანონები და ნორმები, რომლებიც არეგულირებენ და ახდენენ გავლენას სამოქალაქო და ბიზნეს ურთიერთობებზე სწრაფად იცვლება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნება და წინსვლა დიდადაა დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობაზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ისეთ ფაქტორებზე, რომელებიც ცდება ორგანიზაციის კონტროლის ფარგლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს საქართველოში აღინიშნებოდა დადებითი ეკონიმიკური ძვრები და ეროვნული ვალუტის - ლარის დაბალი დევალვაცია, გრძელვადიანი პერსპექტივები საქართველოსთვის ეკონომიკურად გაურკვეველი რჩება. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის აქტივები და ქმედებები შესაძლებელია აღმოჩნდეს რისკის ქვეშ, თუ პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში არახელსაყრელი ცვლილებები მოხდა.

17. ფუნქციონირებადი საწარმო

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა არ გეგმავს ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტას ან საქმიანობის მასშტაბის არსებით შემცირებას. ასევე არ არსებობს სხვა რაიმე გარემოება რომელიც საეჭვოს გახდიდა ორგანიზაციის უნარს გააგრძელოს ფუნქციონირება უახლოეს მომავალში. შესაბამისად, ორგანიზაცია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომ პერიოდში არ ქონია ადგილი რაიმე ისეთ მოვლენას, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე და მოითხოვს მის კორექტირებას.

*****